სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

19334382625624

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N241125185

რეგისტრაციის თარიღი

30.08.2024 წ

ნოტარიუსი: დიანა სვანაძე
მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. #109
ტელეფონი: 2 95 77 45

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაოთხი წლის ოცდაათ აგვისტოს, მე, ნოტარიუს დიანა სვანაძეს, სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №109-ში, მომმართა მოქალაქე **დავით კიკნაველიძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ არის **სს „რეალ ინვესტი“-ს (ს/ნ 202283135)** დირექტორი და სურს მინდობილობით შესაბამისი უფლებამოსილება მიანიჭოს **ბორის კილასონიას.** აღნიშნულთან დაკავშირებით ითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად **დავით კიკნაველიძემ (დაბ. 23.05.1973 წელს, პ# 01011001159, მცხ.: თბილისი ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N 3 კორ. 15 ბ. 61),** მომმართა.

მე დავადგინე მისი უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილად არის სს „რეალ ინვესტი“-ს დირექტორი, თანახმად მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის ამონაწერისა, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23165246, 19/12/2023 11:36:35, საიდენტიფიკაციო № 202283135.

შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და უფლებაუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობასა და უფლებაუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, მან წაიკითხა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა მინდობილობას, რასაც ვადასტურებ:

მინდობილობა

მე, **დავით კიკნაველიძე,** როგორც სს „რეალ ინვესტი”-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 202283135) დირექტორი, უფლებამოსილებას ვანიჭებ **ბორის კილასონიას** (დაბ. 02.06.1992 წ., პ# 42001040143), რათა მან კომპანიის სახელით იმოქმედოს საქართველოში არსებულ ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში, ადმინისტრაციულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სანოტარო ბიუროში, სამინისტროებში და მის შემადგენელ სტრუქტურებში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და არქივებში, მათ შორის ტექნიკური აღრიცხვის არქივში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, მერიაში და მათ დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, მათ შორის არქიტექტურის, ზედამხედველობის სამსახურში, ქონების მართვის სააგენტოში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, საქართველოს ინფრასტრუქტურის და რეგიონალური განვითარების სამინისტროში, გარემოს დაცვის სამინისტროში, კომუნალური მომსახურების სამსახურებში, მათ შორის შპს „თბილსერვის ჯგუფში“, gwp, თბილისი ენერჯი და სხვა ნებისმიერ კომპეტენტურ ორგანოებში. აწარმოოს კომპანიის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებაზე საპროექტო სამუშაოები. გააკეთოს ნებისმიერი სახის დემონტაჟის, სამშენებლო და არქიტექტურული პროექტის შეთანხმება. წარადგინოს და აიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია, შეადგინოს პროექტი. მიიღოს ნებისმიერი სახის ნებართვა, გადააკეთოს/შეცვალოს პროექტი, მოახდინოს ცვლილებების შეტანა რეგისტრირებულ მონაცემებში, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეასწოროს ყოველგვარი ხარვეზი. გააკეთოს აზომვითი ნახაზი. გადაიხადოს ნებისმიერი სახის გადასახადები; წარადგინოს/გამოითხოვოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობები, ინფორმაციები და სხვა დოკუმენტები. მათ შორის ელექტრონულად, წარმოადგინოს კომპანიის ინტერესები, მოაწეროს ხელი საჭირო დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია **ერთი წლის ვადით, 2025 წლის 30 აგვისტოს ჩათლით.**

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო არქივში, რომელსაც ერთვის სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი, ხოლო დანარჩენი მიეცა მიმნდობს.

გადახდილია საზღაური – 30.00 ლარი + დ.ღ.გ. 5.4 ლარი + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი, სულ – 40.40 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 507 დადგენილების 31 და 39 მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.

მიმნდობი: სს „რეალ ინვესტი“-ს დირექტორი _____

ნოტარიუსი: _____ დიანა სვანაძე